თელავისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთაკომისიისსხდომის

ო ქ მ ი N 2

ქ. თელავი 2020 წლის 19 მარტი

თავმჯდომარეობდა:კომისიისთავმჯდომარე: **ალექსანდრე შათირიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ზესიკ ქოჩიშვილი, გურამი წულუკიძე, ზურაბ ნაცარაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის და დალი ხუდაბერდოვის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამიჯვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N33 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე'' ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ა. შათირიშვილი

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის და დალი ხუდაბერდოვის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამიჯვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **ვასილ არაბულმა** აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ დადასტურებულია მფლობელის საკუთრების უფლება, მიზანშეწონილია უძრავი ქონების გამიჯვნის საკითხი განხილული იქნას საკრებულოს ბიურის სხდომაზე.

ვასილ არაბულის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის და დალი ხუდაბერდოვის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამიჯვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N33 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე'' ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **გიორგი ჩაბრაშვილმა** აღნიშნა, რომ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

გიორგი ჩაბრაშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N33 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე'' ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი